

24-25

©გიორგი ახალკაციშვილი, მე-11 კლასის ტესტები

სახელი, გვარი _____

1) ჩამოთვალეთ ის ტომები, რომლებსაც ევროპა ალპების ჩრდილოეთით ეკავათ ...

1.

2.

3.

2) გერმანელებზე ადრე ევოპაში გამოჩნდნენ _____, რომლებსაც პირველენი გეცნენ რომაელები.

ა. სლავები, ბ. ჰუნები, გ. ვანდალები, დ. კელტები.

3) ჩრდილოეთიდან მოსული, გერმანელთა მრავალრიცხოვანი ტომები დასახლდნენ...

ა. გალიის აღმოსავლეთით - რაინის მარცხენა სანაპიროზე,

ბ. გალიის სამხრეთით - რაინის მარჯვენა სანაპიროზე,

გ. გალიის დასავლეთით - რაინის გადაღმა,

დ. გალიის ჩრდილოეთით - რაინის გადაღმა.

4) გერმანელებთან რომაელთა პირველი შეტაკებები მოხდა...

ა. ახ.წ I საუკუნის დასაწყისში, ბ. ძვ.წ II საუკუნის დასაწყისში,

გ. ძვ.წ I საუკუნის დამლევს, დ. ახ.წ II საუკუნის დამლევს.

5) დაკავებული ტერიტორიების დატოვება, გერმანელებს აიძულათ...

ა. კრასუსმა, ბ. ოქტავიანემ, გ. იულიუს კეისარმა, დ. პომპეუსმა.

6) გერმანელებთან ბრძოლაში, რომაელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს...

ა. ახ.წ I საუკუნეში, ბ. ძვ.წ II საუკუნეში,

გ. ძვ.წ I საუკუნეში, დ. ახ.წ II საუკუნეში.

7) ძვ.წ I საუკუნის დამდეგისთვის, გერმანელებს უკვე ეკავათ...

ა. რაინის, დუნაის და სენას შორის მდებარე ტერიტორიები,

ბ. რაინის, დუნაის და დრავას შორის მდებარე ტერიტორიები,

დ. რაინის, დუნაისა და ოდერის შორის მდებარე ტერიტორიები,

8) რომაელები, თავიანთი თავების გარდა, უცხოტომელებს უწოდებდნენ...

ა. „ტირანებს“, ბ. „ველურებს“, გ. „ურჯულოებს“, დ. „ბარბაროსებს“.

9) ხალხთა დიდი გადასახლების პროცესი მიმდინარეობდა...

ა. VII-VI სს., ბ. IV-VII სს., გ. III-VII სს., დ. VII-VIII სს.

10) ირანში სასანიანთა დინასტია გაბატონდა...

ა. III საუკუნეში, ბ. IV საუკუნეში, გ. V საუკუნეში, დ. VI საუკუნეში.

11) ირანს სასანიანთა დინასტია მართავდა...

ა. 226-637 წწ., ბ. 225-650 წწ., გ. 226-637 წწ., დ. 226-650 წწ.

12) ჩამოთვალეთ ის სამი პერიოდი, რომლითაც იყოფა სასანიანთა მმართველობის პერიოდები (2 ქ)...

1.

2.

3.

13) სასანიანთა ირანი ახლო აღმოსავლეთში და კავკასიაში გასაბატონებლად გამუდმებულ ომებს აწარმოებდა...

ა. ქართლთან, ბ. პართიასთან, გ. ბიზანტიასთან, დ. დიდ სომხეთთან.

14) ხალხთა დიდ გადასახლებას ასევე უწოდებენ _____

15) რომის იმპერიის გამაგრებულ საზღვრებს გერმანელები ხშირად არღვევდნენ...

ა. III საუკუნიდან, ბ. IV საუკუნიდან, გ. V საუკუნიდან, დ. VI საუკუნიდან.

16) საიდან გამოჩნდნენ ჰუნები?

ა. აფრიკის ჩრდილოეთიდან, ბ. მცირე აზიიდან,

გ. იბერიის ნახევარკუნძულიდან, დ. შორეული ჩინეთის მოსაზღვრე აზიური სტეპებიდან.

17) ჰუნები, გოთების გერმანულ ტომებს, რომლებიც რომის იმპერიის მიღმა, შავისზღვისპირეთში ცხოვრობდნენ, თავს დაესხნენ...

ა. 372 წელს, ბ. 375 წელს, გ. 378 წელს, დ. 382 წელს.

18) გოთური ტომებო ორ ნაწილად გაიყვნენ : 1. ვესტგოთებად, 2. ოსტგოთებად. რომელი ექვემდებარებოდა ჰუნებს და რომელი რომს? (2ქ).

1.

2.

19) განმარტეთ - ფედერატი :

20) რამ გამოიწვია ვესტგოთების აჯანყება იმპერატორ ვალენტინიანის წინააღმდეგ?

ა. იმპერატორმა ვესტგოთები მაღალ სამხედრო თანამდებობებზე დანიშნა და ამით მათი ძალაუფლება განამტკიცა.

ბ. იმპერატორმა მათ გამოუყო უვარგისი მიწები, სადაც ისინი ვერაფრით ეგუებოდნენ საცხოვრებელ და საარსებო პირობებს.

გ. იმპერატორმა ისინი ჰუნების საზღვართან დაასახლა და ამით ცდილობდა მათ განადგურებას.

დ. ა და გ არის სწორი.

21) ვესტგოთებსა და საუკეთესო რომაულ ჯარებს შორის, რომლებსაც იმპერატორი ვალენტინიანე მეთაურობდათ, ერთმანეთს ადრიანოპოლთან შეებრძოლნენ.

ა. 378 წელს, ბ. 382 წელს, გ. 451 წელს, დ. 476 წელს.

22) რა შედეგით დასრულდა ადრიანოპოლის ბრძოლა? (2ქ) :

23) რომსა და ვესტგოთებს შორი ზავი დაიდა...

ა. 378 წელს, ბ. 382 წელს, გ. 451 წელს, დ. 476 წელს.

24) დაწერეთ, თუ რა სამხედრო წყობა ჩამოყალიბდა რომში ადრიანოპოლის ბრძოლის შემდეგ (ვინ შეავსო რომაული რიგები და რა შედეგი მოჰყვა ამას) (2ქ):

25) თეოდოსეს სიკვდილის შემდეგ, დასავლეთ რომის იმპერიის მმართველი 11 წლის ჰონორიუსი გახდა, ხოლო აღმოსავლეთის 18 წლის არკადიუსი. ეს პროცესი რომის იმპერიის გაყოფას ასახავს, რომელიც მოხდა...

ა. 382 წელს, ბ. 393 წელს, გ. 395 წელს, დ. 455 წელს.

26) 11 წლის ჰონორიუსის, რომელიც დასავლეთ რომს განაგებდა, მეურვედ დაუნიშნეს ვანდალური წარმოშობის უნიჭიერესი მხედართმთავარი...

ა. ალარიხი, ბ. ჰაიზერიხი, გ. ოდოაკრი, დ. სტილიქონი.

27) დაწერეთ როგორ დაასრულა სიციცხლე სტილიქონმა, რომელიც რომს ღირსეულად ემსახურებოდა და რა მდგომარეობაში აღმოჩნდა სამხედრო წყობა მისი გარდაცვალების შემდეგ : (5ქ)

28) 408 წელს, ვესტგოთების წინამძღოლმა, ალარიხმა ე. რომი ალყაში მოაქცია, მაგრამ იმ წელს ხარკის შედეგად მოხსნა ეს ალყა და უკან გაბრუნდა. მცირე დროში დაბრუნდა და უკვე ბრძოლით დაიკავა რომი. ქალაქის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ის დაეცა მტრის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი განხორციელდა...

ა. 410 წლის 24 აგვისტოს, ბ. 451 წლის 24 აგვისტოს,

გ. 455 წლის 24 აგვისტოს, დ. 476 წლის 24 აგვისტოს.

29) ე. რომს უწიდებდნენ...

ა. „მუდმივ ქალაქს“, ბ. „მსოფლიოს დედაქალაქს“,

გ. „მარადიულ ქალაქს“, დ. „იმპერატორთა ქალაქს“.

30) შუა აზიიდან ევროპაში ჰუნების შემოჭრა მოხდა...

ა. III საუკუნიდან, ბ. IV საუკუნიდან, გ. V საუკუნიდან, დ. VI საუკუნიდან.

31) ჰუნების ტომთა გაერთიანები განსაკუთრებით გაძლიერდა...

ა. ატილას მმართველობისას, გ. რუგილას მმართველობისას, დ. ელაკის მმართველობისას

32) „ღვთის რისხვას“ უწოდებდნენ...

ა. ატილას, ბ. ალარიხს, გ. ჰაიზერიხს, დ. ოდოაკრს

33) ატილას მოღვაწეობის წლებია...

ა. 434-452 წწ, ბ. 434-453 წწ, გ. 435-451 წწ, დ. 451-453 წწ

34) ატილას დროს, ჰუნების მოხარკე სახელმწიფო იყო...

ა. დასავლეთ რომის იმპერია, ბ. აღმოსავლეთ რომის იმპერია, გ. პონტოს სამეფო, დ. პართია.

35) ბრძოლა კატალაუნის ველზე მოხდა...

ა. 410 წელს, ბ. 451 წელს, გ. 455 წელს, დ. 476 წელს.

36) ატილამ რომს ალყა შემოარტყა...

ა. 451 წელს, ბ. 452 წელს, გ. 455 წელს, დ. 456 წელს.

37) ვინ იყო რომის იმპერატორი იმ დროს (425-455 წწ)?

ა. ვალენტინიანე I, ბ. თეოდოსიუს II, გ. ვალენტინიანე III მხდალი.

38) ვინაიდან დასავლეთ რომის იმპერატორი სუსტი და მხდალი მმართველი იყო, ატილასთან მოლაპარაკების გამართვა მოუწია მოხუც რომის პაპს. რომელმა პაპმა აწარმოა მოლაპარაკება ატილასთან?

ა. გელასიუს I, ბ. ანასტასიუს II, გ. ლეო I, დ. ჰილარიუსი.

39) დაწერეთ, თუ რა შედეგით დასრულდა ატილას მიერ რომის აღების მცდელობა (2ქ).

40) ქ. რომს, 455 წელს ვანდალთა ფლოტი მიადგა...

ა. ალარიხის მეთაურობით, ბ. ჰაიზერიხის მეთაურობით,

გ. ატილას მეთაურობით, დ. ოდოაკრის მეთაურობით.

41) დაწერეთ, თუ რა შედეგით დასრულდა, 455 წელს, ვანდალთა მიერ რომის აღების მცდელობა (2ქ).

42) ვის უწოდეს სახელი - „დიდი“ ?

ა. ვალენტიანი III-ს, ბ. პაპ ლეო I-ს, გ. ატილას, დ. ოდოაკრს.

43) აღმოსავლეთ რომს ეწოდა...

ა. ახალი რომი, ბ. საღვთო რომის იმპერია, გ. ბიზანტია,

44) იმპერატორ კონსტანტინე დიდის მოღვაწეობის წლებია...

ა. 306-337 წწ, ბ. 306-338 წწ, გ. 307-336 წწ, დ. 307-338 წწ.

45) იმპერატორ კონსტანტინეს სახელიდან გამომდინარე, აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქს ეწოდა კონსტანტინოპოლი. მანამდე ამ ქალაქს ეწოდებოდა...

ა. ქალკედონი, ბ. ბიზანტიონი, გ. აპოლონია, დ. ჰერაკლეა.

46) იმპერატორი თეოდოსიუს I-ის მოღვაწეობის წლებია...

ა. 306-339 წწ, ბ. 379-392 წწ, გ. 379-395 წწ, დ. 395-400 წწ.

47) ბიზანტია ცენტრალიზებული სამხედრო ბიოკრატიული მონარქია იყო...

ა. IV-VI სს, ბ. VI-VII სს, გ. VIII-X სს, დ. IX-X სს.

48) აღმოსავლეთ რომის იმპერიის სათავეში იდგა...

ა. კეისარი, ბ. იმპერატორი, გ. დიადოქოსი, დ. ბასილევსი.

49) რას უწოდებდნენ სათათბირო ორგანოს აღმოსავლეთ რომის იმპერიაში?

ა. კონკლავს, ბ. კურიას, გ. სინკლიტი, დ. კრებას.

50) რატომ ითვლება 476 წ. სასახლის კარის გადატრიალება დასავლეთ რომის იმპერიის აღსასრულად? (2ქ).

წყარო (12 ქ).

(12) 24. პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი¹ -
გერმანელების წარმოშობასა და ადგილმდებარეობაზე

მე თავად ვუერთდები იმ ადამიანთა აზრს, რომლებიც თვლიან, რომ გერმანიის ხალხები, ქორწინების საშუალებით, არ ერეოდნენ სხვა ტომის ხალხებს და წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ, სუფთა ხალხს. აქედან გამომდინარე, მათ ყველას ერთნაირი გარეგნობა აქვთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამ რაოდენობით ადამიანში: მკაცრი, მუქი ცისფერი თვალები, წითური თმები, დიდი სხეული, რომელიც მხოლოდ ხანმოკლე სამუშაოს უძლებს, მათ არ ყოფნით მოთმინება ხანგრძლივი და მუყაითი შრომისათვის; ისინი საერთოდ ვერ უძლებენ წყურვილს და სიცხეს, თუმცა უამინდობამ და უნაყოფო ნიადაგმა შეაგუა ისინი შიმშილსა და სიცვივს.

მათი ქვეყანა მრავალფეროვანია, თუმცა შემადრწუნებელია თავისი ტყეებითა და ჭაობებით. ის ნაწილი, რომელიც გალიას ემიჯნება, უფრო ტენიანია, ხოლო ნორიკისა და პანონიის საზღვარზე – უფრო ქარიანია. ნარგავებისათვის მათი მიწა ნაყოფიერია, მაგრამ არ გამოდგება ხეხილისათვის. შინაური ცხოველები უამრავია, თუმცა ძირითადად ტანმორჩილები არიან. გერმანელებს უყვართ ბევრი საქონელი, ეს არის მათი სიმდიდრის ერთადერთი და ყველაზე სასიამოვნო წყარო. ოქრო და ვერცხლი მათ ღმერთებმა არ უწვავლობეს, არ ვიცი, ამით დალოცეს თუ დაწვევდეს ისინი. თუმცა მე არ ვამტკიცებ, რომ გერმანიაში საერთოდ არ არის ვერცხლის და ოქროს საბადოები. ნეტა ვინ შეისწავლა ისინი? თუმცა გერმანელებს არ აინტერესებთ ძვირფასი მეტალები. ისინი ერთნაირად გულგრილნი არიან, როგორც მათი ელჩებისა და უხუცესებისათვის ნაჩუქარი ვერცხლის ჭურჭლის, ასევე თიხის ნაკეთობების მიმართ. თუმცა ჩვენს სიახლოვეს მყოფი ტომები აფასებენ ზოგიერთ ჩვენ მონეტას და ზოგიერთს პატივსაც სცემენ. ქვეყნის შიგნით მცხოვრებნი კი ვაჭრობის უფრო ძველ და მარტივ ფორმას მიმართავენ, კერძოდ, გაცვლას.

კითხვები:

(2) 24.1. რა აზრი გააჩნდა ტაციტუსს გერმანელების სხვა ხალხებთან ქორწინების შესახებ და რა დასკვნას აკეთებდა იგი აქედან გამომდინარე?

(2) 24.2. წყაროს მიხედვით, გერმანელთა ხასიათიდან და მათი საცხოვრებელი გარემოდან გამომდინარე, რას შეეგუენ და რას ვერ უძლებენ ისინი?


(4) 24.3. წყაროს მიხედვით, მეურნეობის რა დარგებია განვითარებული ძველ გერმანელებში? მეურნეობის რომელ დარგს ვერ ავითარებდნენ ისინი და რატომ?

(2) 24.4. ტაციტუსის სიტყვების გათვალისწინებით - “ოქრო და ვერცხლი მათ ღმერთებმა არ უწყალობეს, არ ვიცო, ამით დალოცეს თუ დაწყევლეს ისინი” - თქვენი აზრით, რატომ შეიძლება ოქრო-ვერცხლის არ ქონა ჩაითვალოს, ერთი მხრივ, დალოცვად და, მეორე მხრივ, დაწყევლად? თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

(2) 24.5. დოკუმენტის მიხედვით, ვაჭრობის რომელ მარტივ ფორმას მიმართავენ ქვეყნის შიგნით მცხოვრები გერმანელები და, თქვენი აზრით, რატომ?



- ა. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის
- ბ. ფრანკთა სამეფოს
- გ. არაბთა სახალიფოს
- დ. რომის იმპერიის



1.(2ქ) რა პროცესია ასახული რუკაზე და რომელ საუკუნეებში ვრცელდებოდა?

2.(1ქ) დაასახელეთ ამ პერიოდში მომხდარი ორი მნიშვნელოვანი ბრძოლა.

3.(2ქ) ჩამოთვალეთ ყველა ის თავდასხმა (წლები, მეთაურები), რომელიც განხორციელდა ქ. რომზე.

4.(1ქ) დაასახელეთ ის პიროვნება, რომელმაც მოხერხებული პოლიტიკის შედეგად ორჯერ გადაარჩინა რომი.

5.(1ქ) დაასახელეთ დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქები.